საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-66

2022 წლის 2 თებერვალი

ქ. თბილისი

ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

„ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის გეგმა.

მუხლი 2

ცნობად იქნეს მიღებული, რომ გეგმაში ქარსაფარი ზოლის ფართობები მოცემულია „მიწის ფონდის განაწილებაზე მიწათმოსარგებლეთა და სავარგულების მიხედვით 2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით“ მომზადებული ანგარიშის (შემდგომში – მიწის ბალანსი) შესაბამისად.

მუხლი 3

ინვენტარიზაციის პროცესში, 2004 წლის მიწის ბალანსში აღურიცხავი ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ფაქტების გამოვლენისას, მათი ინვენტარიზაცია განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4

დაევალოს სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის განხორციელება ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად.

მუხლი 5

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**

დანართი

ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის გეგმა

N	მუნიციპალიტეტი	ფართობი (ჰა)	განხორციელების პერიოდი
1	საგარეჯო	529	**2022 წელი**
2	მარნეული	351	
		სულ: 880	
3	დედოფლისწყარო	1093	
4	გარდაბანი	1922	
5	დმანისი	53	
6	დუშეთი	106	
7	მცხეთა	300	
8	ასპინძა	140	

9	ახალქალაქი	441	**2023 წელი**
10	ახალციხე	196	
სულ: 4 251			
11	გორი	1497	**2024 წელი**
12	კასპი	430	
13	ქარელი	819	
14	წყალტუბო	278	
15	ვანი	73	
16	თერჯოლა	70	
17	ხონი	95	
18	ქ. ფოთი	74	
19	ზუგდიდის რაიონი	173	
20	სენაკი	208	
21	ხობი (ქ. ფოთის გარეშე)	668	
22	აჭარის ა.რ	662	
სულ: 5 047			
მთლიანი ფართობი: 10 178 ჰა			